„Иверія" (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе


**გაზეთის ფასი**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას**.

**ხელობაღა აქვს კეთება**:

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავებადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა ისტაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამოარჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულში) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—25)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ კავკავის ქართულის სკოლის უფროსის მასწავლებლის (III და IV განყოფილებისა) ადგილი დაცლილია. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა შემოიტანოს თხოვნა გამგეობის სახელზე 10 მარიამობისთვემდე. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი 400 მანეთი, სახლი, შეშა და სანთელი; ჰყავს მსახურიც. სალმრთო სჯულისა და გალობის სწავლებისთვის დანიშნულია ცალკე ჯამაგირი. (10—3)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა **გ. წერეთლისა**

ფასი სამი შაური

(5—3)


## ახალი ამბავი

*** 19 ივნისს ტფილისში ავად გახდა ხოლერით კიდევ სამი კაცი და ერთი მათგანი გარდაიცვალა.

*** 20 ივნისს ტფილისში ავად გახდა ხოლერით ერთი კაცი და ერთი ქალი. ამავე დღეს მიხეილის სამკურნალოში ხოლერიან ავადმყოფის განავალი გასინჯეს და ხოლერის ბაცილები აღმოაჩინეს, რაიცა ამტკიცებს, რომ ტფილისში აზიური ხოლერა გაჩენილა.

*** ტფილისის გაზეთები იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტიევი 24 ივნისს ბაქოში გაემგზავრება.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ მის მიერ შემდეგი ღონისძიებანი არის მიღებული ხოლერის წინაალმდეგ:

2 ივნისს რკინის გზის მმართველობამ სასანიტარო კომისია გაჰგზავნა ბაქოსკენ და დაავალა, რკინის გზის სადგურების სისუფთავეს ყურადღება მიაქციეო. შემდეგ შენობის აგება დაიწყო ავადმყოფთათვის ბაქოს, აჯიქაბულსა, უჯარისა, ევლახისა, განჯისა, ალსტაფისა და ტფილისის სადგურებზედ. 10 ივნისს მეორე სასანიტარო დასი გაჰგზავნა ბაქოში, აგრეთვე ყურადღება მიაქცია ბაქოდგან მომავალს ხალხსა და 14 ავადმყოფი აღმოაჩინა აჯიქაბულისა, უჯარისა, ევლახისა, განჯისა და ალსტაფის სადგურებზედ.

ყველა სადგურზედა და მატარებელზედ დეზინფექციას ახდენს, ბაქოს მახლობელს სადგურებზედ მოსამსახურეთა და მგზავრებს აძლევს ადუღებულს წყალს სასმელად. რკინის გზის მუშა კაცთ-კი ყოველ დღე ჩაი და შაქარი ეძლევათ. აჯიქაბულისა და უჯარის სადგურებზედ რკინის გზათა მოსამსახურეთ უფასოდ აძლევენ ყოველ დღე თითო კერძს წვენსა, ხორცს და პურსა. ალიათისა და ევლახის სადგურებზედ-კი რკინის გზის მოსამსახურეთ უფასოდ აძლევენ ყოველ დღე პურსა, ჩაისა და კვერცხებსა.

ყოვე დღე ტფილისითგან ბაქოს მხარეს სადგურებისათვის ყინული იგზავნება.

რკინის გზის იმ მოხელეთ, ვისაც თთვეში 50 მანათზედ ნაკლები ჯამაგირი ეძლევა, 25% მოუმატეს.

ტფილისისა და ბაქოს შუა სადგურებზედ ბუფეტის პატრონებს ამ ჟამად ქირის ფული სრულებით არ ერთმევათ, იმ პირობით, რომ ეს ფული ბუფეტის გაუმჯობესობას და სუფთად შენახვას მოახმარონ.

რკინის გზის მმართველობამ 16 ფერშალი დანიშნა, სადგურებზედ სადეზინფექციო წამლები გაჰგზავნა და, რადგანაც აქ არ იშოვება, რუსეთიდგან დაიბარა 20 ფუთი სულემა, 600 ფუთი კარბოლის სიმჟავე და ამდენივე ხლორის კირი.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 18 ივნისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 47 ხოლერით ავადმყოფი. ამავე დღეს სამკურნალოში გარდაიცვალა 27, სამკურნალოს გარეშე 37, სულ 64. კარგად გახდა 14. სამკურნალოში იმყოფება კიდევ 144 ავადმყოფი.

19 ივნისს სამკურნალოში გაჰგზავნეს 28 ხოლერით ავადმყოფი. ამავე დღეს სამკურნალოში გარდაიცვალა 28, კარგად გახდა 16, სამკურნალოში იმყოფება 128. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა ამავე დღეს 67.

18-სა და 19 ივნისს თეთრ ქალაქში ავად გახდა 8. ამავე დღეში ბალახანაში ავად გახდა 11. ყუბის გზაზედ სადგურში „ყიზალ-ბურუნ" ავად გახდა 2, ამათში ერთი გარდაიცვალა. ყუბას მახლობლად გარდაიცვალა 1.

*** განჯის გუბერნატორი დეპეშით იუწყება, რომ 18 ივნისს განჯაში ავად გახდა ხოლერით 1 კაცი.

*** დაღესტნის ოლქის გუბერნატორი დეპეშით იუწყება, რომ 18 ივნისს პეტროვსკის სამკურნალოში გარდაიცვალა ხოლერით ერთი ქალი და ავად გახდა ერთი ნავოსანი.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 19 ივნისს ქალაქ შუშას სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით 1 ავადმყოფი, გარდაიცვალა ერთი, სამკურნალოში იმყოფება 5. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა კიდევ 1. შუშას მიდამოებში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა და გარდაიცვალა 3 კაცი. განჯაში 18 ივნისს ხოლერით ავად გამხდარი 19 ივნისს გარდაიცვალა.

*** ზაქათალის მაზრის უფროსი დეპეშით იუწყება: 20 ივნისს ზაქათალაში ავად გახდა ერთი კაცი, ბაქოდგან მოსული.

*** 19 ივნისს იყო განგრძობა ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრებისა. კრებას დაესწრო სულ 23 წევრი. პირველად კრებამ მოისმინა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ერთ-ხმად დაამტკიცა შემდეგის ცვლილებით: შემოსავალში

# ფელეტონი

### სვანების აღელვება

### 1875—1876 წლებში.

(შემდეგი *)

რამდენსამე წამს შემდეგ ლოდზედ ავიდა გინადრუყვ ლატალელი და სიტყვის სათქმელად მოემზადა. კრება დაწყნარდა. „ყასბულათის ნათქვამს, დაიწყო მან. ამას კიდევ დავუმატებ: ყოველ ამ გვარ საზოგადო საქმეში ჩვენი წინაპარები ფიცს იღებდნენ წმ. კვირიკეზე, დღესაც ესე უნდა მოვიქცეთ. წავიდეთ ყველა და მივიღოთ ფიცი ერთობისა, ერთგულობისა და თავ-დაუზოგველობისა; დავიფიცოთ, რომ ჭირში და ლხინში, რაც ამ საქმეს მოჰყვეს, ყველანი ერთ სიტყვაზე ვიდგეთ და, ვინც ჩვენთაგანმა ეს ფიცი გასტეხოს, იგი სახეოდ დაისაჯოს". ყრილობამ დასტური დასცა და მაშინვე გაუდგა წმ. გზას კვირიკესაკენ, რომელიც ყრილობას ერთის ვერსით შორავდა. როდესაც ყრილობა ეკკლესიის გალავანთან მივიდა, კალელმა ფანგანმა შალიანის ხატი გამოასვენა. ხალხმა ქუდები მოიხადა და მიაჩერდა ხატსა და მის დამკავებელს ფანგანს. ფანგანმა გინადრუყვის ნათქვამი სიტყვები გაიმეორა და დაარისხა ამ ფიცის მოღალატე. ყრილობამ „ამენ" დაიგრიალა. შემდეგ ორმა კაცმა ჯოხის თავსა და ბოლოს მოჰკიდეს ხელი; ამ ჯოხ ქვეშ უნდა გაეარა ყველას თითოეულად, ვინც იქ დაესწრო. ჯოხს ქვეშ გასვლა იმისი ნიშანი იყო, რომ ყველამ უმეტნაკლებოდ მიიღო ფიცი. ყრილობა დაიშალა, შორიდამ მოსულები სოფ. კალას დარჩნენ. ორმა საზოგადოებამ, როგორც მახლობელებმა, ვახშამი გაუმართა. კალამ საჭმელი მოამზადა, უშგულმა არაყი მოიტანა. კალაში რომ ეს ამბავი ჰქონდა ზემო-ხევს, ბეჩოს, სადაც ბოქაულის რეზიდენცია არის და რუსთა „კამანდა" სდგას, სულ სხვა ნაირად მიიტანეს სიტყვა. იქ ვილაცაებს ეთქვათ ბოქაულისათვის, რომ ზემოხევი პოლიციასა და კამანდას თავს დასხმას და ამოწყვეტას უპირებსო. შეშინებული ბოქაული თთ. დადიშგელიანებს სთხოვს შემწეობას. უკანასკნელნი იწვევენ თავის საყმოს და ყარაულად უყენებენ პოლიცია-კამანდას. ეს ამბავიც ზემო-ხევს გადასხვაფერებით შეატყობინეს. ზემო-ხევში ხმა გავრცელდა, რომ კამანდა და ქვემო-ხევი, ე. ი. თთ. დადიშგელიანების საყმო ლატალის საზოგადოებაზე თავდასასხმელად მოდისო. ეს ხმა ელვასავით მოედვა ზემო-ხევს და რამდენისამე დღის შემდეგ ფიცის მიღებისა, ხალხმა მეორედ მოიყარა თავი, ეხლა-კი ნანდვილად იმ აზრით, რომ კამანდას თავ დაესხას, ამოწყვიტოს და ტყვია-წამალი ჩაიგდოს ხელში. ზემო-ხევმა გასწია ქედ-ბალზე, რომელიც შუა უძევს ლატალისა და ბეჩოს საზოგადოებას და რომელიც ჰყოფს ზემო-ხევს ქვემოხევისაგან. აქ ორივე ხეობა პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს: ზემო-ხევი მიდის კამანდის თავს დასასხმელად და ქვემო ხევი ყარაულად, მცველად უდგას იმავე კამანდას. აგერ ზემოხევი დაექანა ბალის დაღმართზედ, რამდენიმე მანძილი კიდეც ჩაიარა, და ამ დროს წინ შეეფეთნენ ქვემოხეველებს, რომელთაც მოთავედ ორი თთ. დადიშგელიანები ჰყავნდათ. თთ. დადიშგელიანებმა სთხოვეს ზემო-ხეველებს, შეჩერებულიყვნენ, რამდენიმე სიტყვა მოესმინათ და, თუ მათს რჩევას არ გაიგონებდნენ, მერეც მოასწრებდნენ კამანდის თავს დასხმას. ზემო-ხევის უმეტესობას არ უნდოდა სიტყვის გაგონება, მაგრამ მოხუცმა კაცებმა, როგორც იქნა, შეაჩერეს ჯიქურ მიმართული მოწინააღმდეგენი. ხალხის აქ შეჩერება თითქმის მთლად მიეწერება მულახელ ბიტი იოსელიანს. თუმცა ამან ნამდვილად გადაარჩინა კამანდა და ხალხიც ხიფათს, მაგრამ გამოძიება შემდეგში ისე ახირებულად წავიდა, რომ კამანდის ნამდვილად მხსნელი მთავრობამ დაატყვევა და ერთი ორის თთვის შემდეგ ქუთაისის საპატიმროში გარდაიცვალა. ბევრი მკვახე სიტყვა გააგონეს ზემო-ხეველებმა თთ. დადიშგელიანებს. ამ დროს ერთმა დადიშგელიანმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა ზემო ხევს: „თქვენ თვითონ ჰხედავთ, რომ კამანდა ამ ჟამად ჩვენი ხიზანია, ჩვენ მიწა-წყალზე დაბინავებული და სტუმარი. ნუ შეგვარცხვენთ! როგორ უნდა გამოვჩნდეთ სადმე, თუ ჩვენი სტუმარი ამოსაწყვეტად დაგანებეთ. გვირჩევნია უწინ ჩვენ დაგვხოცოთ, ჩვენს მკვდარს სხეულებზედ გაიაროთ და ისე მიხვიდეთ კამანდის ამოსაწყვეტად, ვიდრე ცოცხალი დავრჩეთ და ასე გიყუროთ". ასეთმა სიტყვამ კიდევ უარესად ააღელვა ხალხი. რამდენსამე კაცს გარდა ყველანი ყვირიან წასვლას და კიდეც გაიარეს ცოტაოდენი მანძილი. ქვემო ხევმა თავს მოუარა და ხელახლავ გადაეღობა ზემო ხევს გზაზედ. ხალხი შეჩერდა. ერთმა ქვემოხეველმა სთქვა: „ხომ ჰხედავთ, რომ თუ კამანდასკენ წასვლა არ მოიშალეთ, თავი უნდა შევაკლათ. რად იქცევით ასე, რა გამოვა, რომ ჩვენ ერთმანეთს თავი შევაკლათ? კამანდა დარჩება და ჩვენ, ერთმანეთის ძმები, ერთი მეორეს დავხოცავთ?" ამ სიტყვამ ხალხზედ იმოქმედა. ამასთანავე გამო-

*) იხ. „ივერია", № 129.

საწევრო ფული 170 მან. იყო აღრიცხული. თავმჯდომარის წინადადებით ეს რიცხვი შეიცვალა 300 მანეთად და ამ სახით წლიურ მოსალოდნელ შემოსავლად დაინიშნა 9133 მ. და 44 კაპ.; ხოლო ხარჯს მოემატა 130 მან. და 44 კაპ.; ასე რომ ხარჯი აღნიშნულ იქმნა იმდენივე, რამდენიც შემოსავალია, ე. ი. 9133 მან. 44 კაპ. ეს მომეტებული ხარჯი კრებამ გადასდო ბიბლიოთეკის შესავსებლად.

ამავე კრებაზედ ამორჩეულ იქმნა წევრად საზოგადოების მმართველობისა ბ-ნი გრიგოლ იაკობის ძე ყარაევი, რომელმაც მიიღო 17 თეთრი კენჭი და 5 შავი. მმართველობის წევრობაზედ უარი განაცხადა ბ-ნმა დ. კარიჭაშვილმა. კანდიდატებად კომიტეტის წევრთა ერთ-ხმად იქმნენ ამორჩეულნი: ალ. ყიფშიძე, ვას. სულხანიშვილი და პავ. ყიფიანი

შემდეგ კრებამ განიხილა თხოვნა ბ-ნ ცხომელიძისა, რომ საზოგადოების მმართველობამ იტვირთოს მოთავეობა საოპერო წარმოდგენების გამართვისა. კრებამ გადასწყვიტა: სავარაუდო ანგარიში შეუცვლელი დარჩეს, ხოლო მმართველობამ დახმარება აღმოუჩინოს ზნეობრივ საოპერო წარმოდგენებს, თუ კი შესაძლოდ დაინახა.

დასარულ, კრებამ ერთ-ხმად მიიღო წევრად საზოგადოებისა თ. გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი და დაავალა მმართველობას, თავისი აზრი წარმოუდგინოს შემდეგს კრებას იმის შესახებ, შესაძლებელად იქმნას ცნობილი თუ არა, რომ რწმუნების ქაღალდით წევრმა თავისი ხმა სხვას ანდოს.

მოხსენება სარევიზიო კომისიისა გადაიდო ენკენისთვისთვის.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბრძანება გასცა, რომ ტფილისის ყველა კერძო სასწავლებელმა მოწაფეები დაითხოვონ, რადგან ხოლერამ აქაც იჩინა თავიო.

⁂ მთავრობის განკარგულებით, ამ ჟამად ბაქოდგან მოსული მგზავრები პოლიციებში მიჰყავთ გასასინჯად და ამას გარდა მათ სადგურებსაც თვალ-ყურს ადევნებენ.

⁂ ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა-მოსამართლემ 19 ივნისს დაათვალიერა ოჰანეზოვის რესტორანი ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ამ რესტორანის პატრონი, ოჰანეზოვი, 25 მანათით დააჯარიმა უსუფთაობისათვის.

⁂ გზათა სამინისტრომ 20,000 მანათი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

⁂ ვენეციის ნომრებში ჩამომხდარა 20 ივნისს საღამოს სარაყამიშიდამ ჩამოსული ალექსანდროპოლელი ჰაჯიბაბ ივანეს ძე ღარიბიანცი, რომელმაც გუშინ, 21 ივნისს, გამოუცხადა მე-9 ნაწილის პოლიციას, რომ წუხელ მძინარეს ამომაცალეს ჯიბიდამ 500 მანათიო. პოლიციამ მიანდო პოლიციის მოხელეს, ბ-ნს ბაბალოვს, პოვნა დამნაშავესი. დამნაშავეც და ფულიც აღმოჩენილ იქმნა და ჩაჰბარდა პატრონს.

⁂ დარიგება სოფლის მოხელეთათვის ტფილისის გუბერნიაში ქართულ-რუსულად უკვე აღიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდებათ მაზრის უფროსებს, რომ მათ თავიანთის მხრით დაურიგონ სამამასახლისოებს.

⁂ წელს, ამ გაზაფხულის პირზედ, გორის მაზრის რამდენმამე სამამასახლისომ, სახელდობრ: ვარიანისამ, დოესისამ, ხოვლესამ, ლამისყანისამ და კეხვისამ, დაადგინეს განაჩენები და ითხოვეს მთავრობის წინაშე, მოგვაშორეთ ჩვენი მავნე და უზნეო წევრნი, რომელთაც ცუდის ქცევით, ქურდ-ბაცაცობითა და შურით, მეზობლის კარ-მიდამოს და საცხოვრებლის გადაბუგვით სული გაგვიმწარესო. ტფილისის საგლეხო საკრებულოს გარდაწყვეტილებით გორის მაზრაში იგზავნება ამ დღეებში ზემოდ დასახელებულ განაჩენების შესამოწმებლად წევრი საგლეხო საკრებულოსი თ. ნ. ს. აბაშიძე, რომელსაც ამას წინად მინდობილი ჰქონდა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ, გამოეძია და გამოეკვლია ბორჯომის მამულში დასახლებულ გლეხების საქმე მამულის გამგეობასთან ახალ პირობათა შეკვრის თაობაზედ.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს, რომ წარსულის წლის სკოლების ფულის ნედოიმკები შეაგროვეთ და ყოველ გვარი ღონისძიება მიიღეთ, რომ მომავალის წლის სკოლების ფული დროზედ იყოს შეგროვილიო.

⁂ საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 23 ენკენისთვეს ქალაქ ლისაბონში შეიკრიბება კონგრესი აღმოსავლეთის ენების მცოდნეთა. ვისაც სურს ამ კონგრესში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან მიჰმართოს კომიტეტის მდივანს შემდეგის ადრესით: „M-r Liciano Cordeiro (Société de gèographie de Lisbonne). კონგრესზედ დასწრებისათვის შესატანად 25 ფრანკია დანიშნული.

⁂ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მკურნალთა კრება მოახდინოს ხოლერის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებადაო.

⁂ განჯა: 21 ივნისს აქ გახდა ავად ხოლერით დურგალი ულიანკინი, რომელიც ბაქოდამ მოვიდა ამ ოთხის დღის წინად. ავადმყოფი სამკურნალოში დააწვინეს. მისი ტანისამოსი დასწვეს.

⁂ ბაქო: 21 ივნისს რკინის გზის სამკურნალოში ორი ავადმყოფი მიიღეს. იმავე დღეს გარდაიცვალა სამკურნალოში ორი.

⁂ სალიანი: სალიანის გზაზე დიდძალი მგზავრი მიდის სპარსეთისკენ ბაქოდგან. მგზავრნი უფრო მუშა სპარსელები არიან.

⁂ გაზეთს „ნორ-დარს“ სწერენ ერევნიდგან, რომ იქ ამ ჟამად ხოლერის წინააღმდეგ დარიგება დაუბეჭდიათ და ხალხს ურიგებენ.

⁂ გაზეთ „Бирж. Вѣд.“ სწერს, რომ გზათა სამინისტრო ყოველ გვარ ღონისძიებას მიიღებს ხოლერის წინააღმდეგაო.

⁂ გაზეთი „Т. Л.“ სწერს, რომ ამ ჟამად ძლიერ საჭიროა მტკვრის ნაპირად მცხოვრებთათვის უფასო „საჩაიოები“ გაიმართოს, რომ ღარიბ ხალხს შეეძლოს აუდუღარისა და მაწყინარის წყლის მაგიერად უფასოდ ჩაი დალიოსო.

⁂ გაზეთს „Нов. Обоз.“-ს სწერენ, რომ სოფელს დიდ-თონეთში 400 დესიატინამდე ნათესი ადგილები დასეტყვაო. ზარალი 20,000 მანათამდეა.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ სოხუმიდგან, რომ სოფ. ეშერში საქონლის ჭირი გაჩენილა. ამ ადგილს გაგზავნილი იქმნა პოლიციის მოხელე და ოლქის მკურნალი.

ამ დღეებში შეუდგებიან გზის კეთებას ბზიბის ხეობაში. გზა 50 ვერსამდე იქნება გაყვანილი. ჯერ-ჯერობით ამ გზისთვის გადადებულია 2,000 მანათი. გზის გაყვანას დასჭირდება 50,000 მანათამდე.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ გუდაუთიდგან (სოხუმის ოლქშია), რომ ამ ჟამად იქ ყელის ავადმყოფობა გაჩენილა, რომელმაც უკვე ბევრი ხალხი იმსხვერპლა თურმე. ავადმყოფს შიგნიდგან და გარედგან ყელი უსივდება და საშინელ ტკივილსა გრძნობს, მკურნალი-კი არსად არისო.

⁂ გაზეთი „Каспій“ სწერს: „ბაქოს სასანიტარო მკურნალმა ლაკერმანმა თავის თანამდებობას თავი დაანება და იმის ადგილას მკურნალი გალკინი მიიწვიეს.

⁂ იგივე გაზეთი იუწყება: „ბაქოში ხოლერა დღითი-დღე ვრცელდება და ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილსაც მოედო. 16 ივნისს, მაგალითად, მეორე ნაწილში, შემახიის ქუჩაზედ, 13 კაცი გახდა ხოლერით ავად და სუყველა გარდაიცვალა“.

⁂ 20 ივნისს, დილის 3 საათზედ, ბაღის ქუჩაზედ, დავიდოვის სახლში, გულის ფრიალით უეცრად გარდაიცვალა ცოლი საფარა ზუსიროტისა.

⁂ ამავე დღეს, კონსულის ქუჩაზედ თავ. ვასილ ბებუთაშვილის ეზოში, კედელი ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლია იქვე მომუშავე მანუკ მნაიანი.

⁂ 20 ივნისს ყორღანოვის ქუჩაზედ იპოვნეს ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი.

⁂ ამავე დღეს პოლიციის მეშვიდე ნაწილში გეურქ მირაქოვი წაეჩხუბა დავით ელიაზაროვს და დანით ექვს ალაგას დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ოზურგეთი.** ივნისის პირველს რიცხვებში გურიანთის ნაწილის საბოქაულოს ორმოც-და-ათამდე საპატიო თავად-აზნაურობამ და ამ საბოქაულოს ყველა სოფლის მამასახლისებმა მოიყარეს თავი ბოქაულ ფიცხელაურთან და ჰქონდათ მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ შევებრძოლოთ ავაზაკებს, რომ ბოლო მოვუღოთ როგორმეო. ბევრის ლაპარაკისა და თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: შევადგინოთ ახალი რაზმი ოც-და-ათიდამ ორმოც კაცამდის ავაზაკების შესაპყრობლად ჩვენის ხარჯით სამის თვის განმავლობაში. უკეთუ ამ ვადის განმავლობაში მოახერხებს ვინმე და ან მოჰკლავს, ან

---

ჩნდნენ ბევრი ნათესავ-მოყვრები ორსავე მხრით და ამანაც შეაფიქრიანა ხალხი, ასე რომ ზემო ხევმა თავის განზრახვას თავი დაანება. ზემო ხევი დაბრუნდა ისევ უკან ბალის ქედზედ.

აქ ყრილობამ დაადგინა: 1) ლატალი და ლენჯერი უნდა დამდგარიყო ყარაულად ბალზე, თვალ-ყური ეგდო კამანდისა და პოლიციისათვის, ზემო ხევისკენ ბოქაულისა და კამანდის კაცები არ გაეშვათ; 2) ხუთ საზოგადოებას: მესტიას, მულახს, იფარს, კალას და უშგულს ლატფარის უღელტეხილზედ უნდა ეყარაულნა. ამასობაში სვანეთის ბოქაულმა საქმის გარემოება უკვე შეატყობინა მთავრობას. შვიდს ივლისს სვანეთის მიმავალი ატრიადი, გენერალ ციტოვიჩის წინამძღოლობით, ლეჩხუმს ამოვიდა და ბანაკი მურს დასცა. როდესაც აჯანყებულმა სვანებმა ეს ამბავი გაიგეს, უფრო თავდარიგი იქონიეს ბალსა და ლატფარზე. ორგანვე დარაჯს კაცები მოუმატეს. შვიდსავე ივლისს ლეჩხუმის მაზრის უფროსისგან, განსვენებულ გრინევსკისაგან, ქაღალდი მივიღე: უთუოდ ხვალ ჩემთან გამოცხადდი, გუბერნატორი გიბარებს; თარჯიმანად უნდიხარ სვანეთში ყოფნის დროსაო. არაფრად მიამა ამ გვარი მოწვევა, რადგანაც ტფილისიდგან ჩამოსულს, სადაც მაშინ ვსწავლობდი, შინ დასვენება მერჩია თარჯიმანობას, მაგრამ, როგორც მაშინ ვფიქრობდი, წაუსვლელობა არ მარგებდა. შინაურებს რომ ეს ამბავი გავუმჟღავნე, ძლიერ ეწყინათ, ბევრი მიშალეს წასვლა, მაგრამ ბოლოს დავითანხმე და 8-ს ივლისს ლატფარის უღელტეხილით გზას გავუდექი. მთის მწვერვალს რომ ვუახლოვდებოდი, დარაჯებმა დამინახეს. იმათ ყურადღება მიაქციეს ჩემს რუსულს ქუდსა და ბლუზას და ზერ კიდევ მოშორებით ვიყავით, როდესაც დაგვიძახეს: ვინ ხართო? ჩემმა ამხანაგმა ჩვენი ვინაობა ძახილითვე შეატყობინა. ყარაულებს ვინმე ბოქაულის მოხელეთაგანი ვგონებოდი, გუბერნატორთან გაგზავნილი. მივაღწიე ლატფარის წვეროზე. დარაჯები 200 კაცზე მეტი შემომეხვივნენ. მათში ბევრი ჩემი ახლო და შორეული ნათესავი ერია, ბევრი იყო აგრეთვე ნაცნობიც. ახლო ნათესავები ძლიერ შეწუხდნენ ჩემისს წასვლის გამო, არა გზით არ გაგიშვებთო, მითხრეს ზოგიერთმა. ჩხუბი რომ მოხდეს, შენ ვინ გაგარჩევს? შენც ისე მოგკლავენ, როგორც სხვებსაო! ვინც ჩემი ნათესავი და ნაცნობი არ იყო, იმათ კიდევ სხვა თვალით შეხედეს გუბერნატორთან ჩემს წასვლას. იმათის აზრით, მე თუ გუბერნატორი მიბარებს, იმიტომ-რომ რუსების მხარე მიჭირავს და სვანების მტერი ვარ. „თავის მიწის მოღალატეს სვანეთის სალოცავიმც ჰღალატობს“ (მიჩავერი მუქდენის, შვანე ლიმზურუვ ხოქდენი), დაიძახა ერთმა ჩემმა უცნობმა და გაგვშორდა. ეს ჩემს ნათესავებს ეწყინათ; როგორ თუ შენ მოღალატეთ გსახავსო, და კინაღამ უსიამოვნება მოხდა მათ შორის. თითქმის ერთი საათი გამაჩერეს დარაჯებმა და ამ დროს განმავლობაში სულ გულსაკლავი სიტყვები მესმოდა: ახლოცა და შორეულიც ჩემის წასვლის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მე მაინც ჩემი არ დავიშალე და, როგორც იქმნა, ხელიდამ გავუსხლტი დარაჯებს. საღამოს სოფ. ლუჯის *) მივედი, სადაც გრინევსკი მიცდიდა. გრინევსკიმ ყველაფერი გამომკითხა და მეც ვუამბე, რაც საჭირო იყო. ამ დღეს გრინევსკის როგორღაც 6 სვანი ჩაეგდო ხელში, გაეჩერებინა ჩემს მოსვლამდე და მოციქულად გაგზავნას უპირებდა აჯანყებულ სვანებთან. მითხრა თუ არა ეს თავისი განზრახვა, დაუძახა სვანებს და უბრძანა ჩემის პირით: „წადით და გადაეცით ჩემ მაგიერ ყრილობას, რომ თქვენის მიწების დაბეგვრა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია; ადგილების ზომვა თუ უნდა მთავრობას, იმიტომ უნდა, რომ ხელმწიფემ ყველა თავის ქვეშევრდომის ადგილ-მამულის რაოდენობა უნდა იცოდეს. ის ხმა, ვითომ მთავრობა გადასახადს ადებს მიწებსაო, ტყუილია; იგი მოგონილია ბოროტ-კაცებისაგან, რომელთაც სურთ სვანებს რაიმე ზიანი მოუტანონ. ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც ამას გეუბნებათ, იცოდეთ, რომ ისინი თქვენი მტერნი არიან. სთხოვეთ ჩემს მაგიერ ყრილობის მოთავე კაცებს, რომ თითონაც მოვიდნენ აქ და თითოეულის საზოგადოებიდგან რვა-რვა კაცი წამოიყვანონ. მე იმათ ყველას ცაგერს ჩავიყვან გუბერნატორთან, რომელიც პირად ეტყვის, რომ მიწებს გადასახადს არავინ ადებს. თუ ამას იზამენ, მაშინ ცაგერში მოსული ჯარი უკან დაბრუნდება. მე და რამდენიმე სხვა მოხელე წამოვალთ სვანეთში, საქმე კარგად გათავდება, თორემ თუ ჯარი გადმოვიდა თქვენში, ცუდი საქმე დაგემართებათ“....

სვანებმა მიუგეს: „თქვენს დაბარებულს უკლებლივ გადავსცემთ ყრილობას, შეასრულებენ თუ არა იმას, რასაც თქვენ თხოულობთ, მაგაზე-კი ვერაფერს მოგახსენებთ. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ საზოგადოებისაგან რვა-რვა კაცი მოვიდეს თქვენთან, მაგრამ ვინ იცის, ეს ყრილობის საქმეა და შეიძლება წამოვიდნენ“.

— „თუ ისინი არ მოვიდნენ, ვისაც ვიბარებ, თქვენ მაინც დაბრუნდით ჩემთან, ავი და კარგი შემატყობინეთ“.

— „თუ ყრილობამ არ დაგვიშალა, ბატონი ბძანდებით, თუ დაგვიშალა-და—ვერ გიახლებით“. გრინევსკის გული მოსდის, მაგრამ ძალით იკავებს თავს: „წადით და რასაც გაბარებთ, გარდაეცით... ყრილობას“. სვანებმა თავი დაუკრეს გრინევსკის და წავიდნენ. ჩვენ აქ ვუცადეთ ამბის შეტყობას ხუთ დღეს. სვანებს გრინევსკის დაბარებული გადაეცათ ყრილობისათვის. ყრილობას ათის კაცის გამოგზავნა გადაეწყვიტა და ამ ათს კაცში ჩვენი ცნობილი ყასბულათიც ერია.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

*) სოფ. ლუჯი ლაშხეთის საზოგადოებაშია, სადადიანო სვანეთში.

დაიჭერს ავაზაკებს: მიქელაიშვილს, ამაღლობელს და სალუქვაძეს, თითოეულის დაჭერაში ანუ მოკვლაში მიეცეს საჩუქრად ერთ-ხნობით შვიდასი მანეთი, ხოლო ვინც ავაზაკების მიერ დაიჭრება, ანუ მოკვდება, იმათ მიეცეთ თითოეულს სამასი მანეთიც ერთ-ხნობითვე. ეს საჩუქრები დააწესეს მისთვის, რომ ყველამ, ვინც იქნებიან რაზმში ჩაწერილი, მიიღოს ყოველივე ღონისძიება ავაზაკების შესაპყრობად. ამ საგანზედ ყველა სოფლის საზოგადოებამ შეადგინა საკუთარი განაჩენი, ხოლო თავად-აზნაურობამ თავიანთვის საკუთარი ხელ-წერილი დასდო. ამ ხელ-წერილზედ სამწუხაროდ რამდენმამე თავად-აზნაურმა არ მოაწერა ხელი და უარი სთქვა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისა. განაჩენები დამტკიცდა, ვისგანაც ჯერ იყო. საგანგებო რაზმი გამოეწყო და ჩაჰბარდა თავად ჯიბრაილ ყიფიანს. მალე რაზმმა მიიღო ცნობა, რომ ავაზაკნი მიქელაიშვილი, სალუქვაძე, ამაღლობელი და ღლონტი სოფელ ბასილეთში იმყოფებიანო. იმ წამსვე თავადი ყიფიანი თავის რაზმით, აგრეთვე ბ-ნ გოგოლიშვილი, ბოქაული ვაშალომიძე და რამდენიმე სოფლის მამასახლისი გაემგზავრნენ იმ ადგილას, საიდგანაც ცნობა მიიღეს. 14 ივნის, დილით, როგორც უკვე ეწერა „ივერიაში“: დაესხნენ თავს და ორი მათგანი: ამაღლობელი, გამოქცეული ნოვოროსიის საპატიმროდგან, და სალუქვაძე, ჯარის-კაცად ნამყოფი, ისიც გაქცეული საპატიმროდგან, იქვე სახლში დახოცეს, ხოლო ავაზაკი ღლონტა ცოცხალი შეიპყრეს. მიქელაიშვილმა-კი მოასწრო გაქცევა და დამალვა. ერთის თავის ამხანაგის თოფიც წაიღო და უშველა თავს. გაქცეულმა მიქელაიშვილმა დასჭრა მსუბუქად ფეხში ერთი რაზმის კაცი მდინარაძე. დღემდე დიდად შევიწროებული იყო გურია ამ ავაზაკების მიერ და ეხლა, თუ კიდევ არავინ მიეკედლა მიქელაიშვილს, მარტო ერთი ვერას გააწყობს და ისე ველარ შეაშინებს მცხოვრებლებს, რომელნიც, იმედია, ამ ახალის რაზმის შემწეობით მალე მოუღებენ ბოლოს ამ ერთსაც.

დამსწრეთაგანი

# რუსეთი

„Сѣверный Вѣстникъ“-ის ამ თვის ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი პროფესორის სოროკინისა იმის თაობაზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო საცდელს სადგურებს მიწადმოქმედებისათვის. აღნიშნავს რა შეფერხებას რუსეთის მიწად-მოქმედებისას, სოროკინი იუწყება, თუ რა ყურადღებით ეკიდებიან მიწად-მოქმედებას არამც თუ მარტო ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მზგავსი მიწად-მომქმედი სახელმწიფონი, არამედ მრეწველნი სახელმწიფონიც-კი, მაგალითად ინგლისი, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია და სხვანი. ამავე დროს რუსეთში, სადაც $^{9}/_{10}$ მცხოვრებთათვის მხოლოდ მიწად-მოქმედებაა ერთად-ერთი სახსარი და წყარო ცხოვრებისა, მეურნეობა ისე ცუდად არის დაყენებული, რომ ერთის წლის გვალვამა და ამის გამო მოუსავლობამ სრულიად და ძირიანად შეარყია მკვიდრთა კეთილდღეობა და სახელმწიფოც ძლიერ დააზარალა. სოროკინის ხსენებულს წერილს აზრად ის არა აქვს, რომ ყოველივე ღონისძიება აღნიშნოს და განმარტოს, რასაც-კი შეუძლიან განკარგება მიწად-მოქმედებისა. წერილს ყურადღება აქვს მიქცეული მხოლოდ ერთს საგანზე—სასოფლო-სამეურნეო სადგურებზედ. ასეთი სადგურები ერთი უკეთეს ღონისძიებათაგანია სამეურნეო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად ხალხში მიწად-მომქმედთ შორის. საცდელი სამეურნეო სადგურები მოფენილია მთელს დასავლეთს ევროპაში. ევროპიდგან ასეთი სადგურები მოეფინა აგრეთვე ამერიკასაც. კანადასა და ბრაზილიაშიაც მოიპოვება საცდელი სამეურნეო სადგურები, მაგრამ ყველაზედ მომეტებულად-კი უფრო ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებშია გავრცელებული. რასაკვირველია, საქმე მარტო ის არ არის, რომ საცდელი სამეურნეო სადგური დაარსდეს. მეურნეობის წარმატებისათვის საჭიროა, რომ გლეხებსაც გააცნონ გამონაცადი და გამონაკვლევი საცდელ სადგურებისა. „შეერთებულს შტატებში ანგარიში სადგურებისა ყოველთვის ეგზავნებათ მთელის შტატის მემამულეებს. საფრანგეთში ამასაც არა სჯერდებიან. რასაკვირველია, განათლებულ და შეგნებულ კაცისათვის საკმარისია მარტო ანგარიშის წაკითხვა: თავისით ყველაფერს გაიგებს და ისარგებლებს კიდეც განაგებით, მაგრამ უმრავლესობისათვის—ნაკლებად განათლებულ მიწად-მომქმედ გლეხობისათვის-კი მარტო ანგარიშის წაკითხვა არა კმარა. იმათ უთუოდ თავისის თვალით უნდა ნახონ ყოველივე და ისე შეისწავლონ განკარგებული წესი მიწის დამუშავებისა. მხოლოდ მაშინ დარწმუნდებიან ანგარიშში დანაწერის სინამდვილეზედ და თითონაც შემოიღებენ. ერთის სიტყვით, საჭიროა, რომ სადგურის მიერ გამონაკვლევი და გამონაცადი თითონ მივიდეს და შეეთვისოს მიწად-მომქმედებს. ეს აზრი ეკუთვნის ცნობილს ფრანგს პოლ ბერს და პირველად ამ აზრის განხორციელებას საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა შეუდგა: გამართა ყოველს დეპარტამენტში მაჩვენებელ-ამხსნელი მინდვრები. სწორედ ამ გვარს მინდვრებში აჩვენებენ ხალხს, თუ როგორ უნდა ისარგებლოს კაცმა საცდელ სადგურების მიერ გამონაკვლევ-აღმონაჩენით. ამ მინდვრებში საქმე ძლიერ წარმატებითა და ყოჩაღად მიდის და უნდა მიდიოდეს კიდეც, თორემ იმათის მიხედვით გლეხს გულში ეჭვი შეეპარება და აღარ დაიჯერებს საცდელ სადგურების ანგარიშში მონახსენებს. საქმის წარმოება მაჩვენებელ-ამხსნელს სადგურებში მინდობილი აქვთ განსაკუთრებულს პროფესორებს, ანუ მიწად-მოქმედების მასწავლებლებს, რომელნიც ამასთანავე ვალდებულნი არიან ესაუბრონ და დარიგება მისცენ ხალხს ამა თუ იმ სამეურნეო საგნის და საქმის შესახებ. სარგებლობა და მნიშვნელობა ამ გზით სამეურნეო ცოდნათა გავრცელებისა ადვილად მისახვედრია ყველასათვის და საფრანგეთის მეურნეთა მიერაც გამოცდილებით შემოწმებულია“.

რუსეთში ჯერ-ჯერობით ამ გვარი საქმე სრულიად არა დაწყებულა-რა, მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა კერძო კაცმა სცადა.

# უცხოეთი

**ინგლისი.** გლადსტონმა შემდეგის მანიფესტით მიჰმართა მიდლოტინელს ამომრჩევლებს: „16 ამ თვისას (ძვ. სტ.) იმ რწმუნებულებას, რომელიც მე თქვენგან სამჯერ მივიღე, ვადა გასდის და გთხოვთ განაახლოთ. გარემოებანი 1880 წლისა, როდესაც თქვენ პირველად მომანდეთ თქვენი რწმუნებულება, სამძიმო იყო. მაგრამ გარემოებანი აწინდელის დროისა უფრორე მეტს ითხოვს გონებისა და ერის მიერ მამულის მოყვარეობას იმიტომ, რომ ამ ჟამად ინგლისმაც სხვა საქმეებთან ერთად უნდა გადასწყვიტოს ის საქმეც, რომელიც ჩვენთვის ყოველს საქმეზედ უსაყურადღებოესია, ე. ი. უნდა გამოირკვეს—ამიერიდგან ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია მართლა საქმით იქნება შეერთებული სამეფო, თუ მხოლოდ სახელითა და კანონით. არას დროს ირლანდია არა ყოფილა ისე ერთგული ტახტისა და გულით დაახლოვებული ინგლისთან, როგორც 1782 წელს შემდეგ იყო, როდესაც პირველად მიენიჭა უპირატესობანი თვით-მმართველობისა. 1795 წელს ფრთები შეაკვეცეს ამ უპირატესობას. ერთის თაობის განმავლობაში უნიას შემდეგ ირლანდიც ძილს მიეცა, ნივთიერად გაღარიბდა და პოლიტიკურად დამონავდა. 1829 და 1832 წელს მოხდენილმა ცვლილებამ ცნობიერება დაუბრუნა ირლანდიას. მას აქეთ სხვა-და-სხვა უბედურება და ომიანობის საქმე მძიმე ტვირთად დააწვა თქვენს პარლამენტს და ველარ მოაცალა, რომ პირ-ნათლად და ჯეროვანად განეგო ინგლისი. მე იმედი მაქვს, რამდენისამე დღის შემდეგ მოგახსენოთ საფუძველნი იმ პროექტისა, რომლის გულისთვისაც ლიბერალთა დასი დაუცხრომლად იბრძოდა ექვსის წლის განმავლობაში. ეხლა მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ საგანი განზრახულ ცვლილებათა თავისუფლების მინიჭებაა პარლამენტისა და ირლანდიისათვის—ირლანდიისათვის იმიტომ, რომ თავისი შინაური საქმეები თითონვე გააგოს, პარლამენტისათვის იმიტომ-რომ ჯეროვანად გაშალოს ფრთა და დააკმაყოფილოს სხვა-და-სხვა საჭიროება და მოთხოვნილება ინგლისისა, შოტლანდიისა და ვალისისა. მუდმივმა ზრდამ გონიერ მოსაზრებათა, რაიცა კერძო არჩევანების დროს დამტკიცდა რამდენჯერმე დაარწმუნა ინგლისის ერი, რომ ირლანდიელთა თხოვნის დაუკმაყოფილება შეუძლებელთა და, თუ ის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა, მაშინ მრავალი სხვა საჭიროებაც დაკმაყოფილდება ინგლისის ერისა. რაიცა შეეხება ეხლანდელის პარლამენტის მიერ ირლანდიის განგებას, მე დაგიმტკიცებთ, რომ მთავრობის პოლიტიკა ყველა საქმეში დამარცხდა, გარდა ერთისა: 1887 წელს შემოღებულმა კანონმა განაკარგა ყოფა-მდგომარეობა ირლანდიელ არენდატორთა, თუმცა ერთის წლის წინად უმთავრესს საფუძველს იმ კანონისას მთავრობა უზნეოსა და უპატიოსნოს უძახდა. ასეთმა მაშინდელმა ქცევამ მთავრობისამ ხალხი მიამხრო კამპანიას და ამ სახით მთავრობა გაუხდა მიზეზად მრავალს უბედურებას, რაიცა ხსენებულს საქმეს მოჰყვა. ირლანდია გამწყრალია იმის გამო, რომ დანაპირები არ აუსრულა კონსერვატორთა ხელიდგან წასულთა კოალიციამ და ამის გამო მტრულად ეკიდება დუბლინის მიერ მიღებულს სახეს მმართველობისას—იმ მმართველობას, რომელსაც ადრევე ჩემბერლენი ისე მჭევრ-მეტყველურად ჰკიცხავდა. მაგრამ ამავე დროს ირლანდია გულ-დამშვიდებულია და მშვიდობიანობას მოსურნეობს, რადგან იმედი აქვს თქვენი და ინგლისის დანარჩენ ამომრჩეველთა. ის გრძნობანი, რომლითაც განმსჭვალულია ერი ინგლისისა და ირლანდიისა, ბედნიერი მომასწავებელია მეგობრულ კავშირისა, რომელიც, როგორც შედეგი ჰომრულისა, დამყარდება საიმპერიო უფროსობის ქვეშე, რაიცა აქნობამდე ვერ დამყარებულა ჩრდილოეთის ორს საგრაფოში, სადაც ალრეულობაა გაბატონებული გონიერებაზედ. მე ეჭვი არა მაქვს, რომ ოლსტეროს მცხოვრებთ გამცდილოება ისევ იმ მეგობრულს გრძნობას დაუბრუნებს, რომელიც უნიამდე ჰქონდათ“. ინგლისის საქმეთა შეხებ გლადსტონმა შემდეგი სთქვა: „აწინდელის პარლამენტის მცირეოდენ კარგ საქმეთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს კანონებს ადგილობრივ მმართველობისას. ამ კანონებმა მოაცოცხლა ერის ძალნი. იმავე კანონებმა შეიწყნარეს ერთიანობა ლონდონისა, მაგრამ არ მოაშორეს-კი ლონდონის საქალაქო გარემოებას რამდენიმე დიდი ნაკლი. ქალაქის ამომრჩევლებმა უკვე აღნიშნეს ის რამდენიმე ნაკლი უკანასკნელ არჩევანების დროს, ხოლო მომავალ არჩევანების დროს უნდა გადასწყვიტონ—როგორს კაცებს აირჩევენ ქვედა პალატისათვის, იმისთანებს, რომელთაც ამ ნაკლთა მოშორება არა ჰსურს, თუ ისეთებს, რომელნიც იბრძვიან მათ მოსასპობლად. ესევე ითქმის საგრაფოების შესახებაც. კანონები მათი პრინციპებით კარგია, მაგრამ დიდი ნაკლი აქვს რამდენისამე საგნის შესახებ კანონს, მაგალითად, კანონს სასმელებით ვაჭრობისას, პოლიციისას და სამრევლო და სასოფლო საბჭოებისას, რომელსაც შეუძლიან ხალხი ასარგებლოს ადგილობრივის თვითმმართველობით. უმთავრესი საქმე ახალის პარლამენტისა ის იქნება, შეასწოროს საქმენი თავისის წინამოადგილისა. ესევე ითქმის წვრილ მამულის მფლობელთა ბილლის შესახებაც, რომელიც წარსულ სესსიის დროს იქმნა შეწყნარებული“. მუშათა საქმის შესახებ გლადსტონმა შემდეგი სთქვა: „აუცილებლად საჭირო-ცვლილებათა შორის მე უნდა დავასახელო ისეთის განკარგებულის წესის შემოღება, რომ ყველას შეეძლოს ისარგებლოს თავისის საამომრჩევლო უფლებით. ამასთანავე საქმე ისე უნდა განწესიერდეს, რომ თითოეულს ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა და ერთგან ჰქონდეს. ამასვე უნდა დავუმატოთ საჭიროება შრომის წარმომადგენლობის გავრცელებისა და იმის შემოღება, რომ ხარჯი არჩევანებისა მთავრობამ იკისროს და შეუძლებელს ხალხს შეეძლეინოს თავის უფლებით სარგებლობა“.

მანიფესტი ასე თავდება:

„ეს უკვე მესამოცე წელიწადია ჩემის საპოლიტიკო მოღვაწეობისა და ამიტომ არ შემიძლიან არ ვიფიქრო, რომ შეიძლება ჩემთვის ეს უკანასკნელი არჩევანები იყოს, რომლისათვისაც დახმარებასა გთხოვთ, და მე წილად მხვდეს ნაწილის გაკეთება იმ საქმისა, რაიცა არჩეული მაქვს. ამიტომ აქ უადგილო არ იქნება, რომ გულითადი მადლობა გამოგიცხადოთ თქვენის ჩემდა ნდობისათვის აქნობამდე, რაიცა, მგონია, არც მე დამირღვევია ჩემის მხრით. მაგრამ ეხლაც-კი, როცა ჩემი სამოქმედო ასპარეზი ესე შემოკლებულია, მე იმედი მაქვს, რომ ღვთის შეწევნით მცირეოდენს სამსახურს კიდევ გაგიწევთ, თუ თქვენ აზრი არ შეგცვლიათ ჩემს შესახებ“.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის ერთ-ერთის №-ში დაბეჭდილი იყო მცირე შენიშვნა: „ზაქრაძის ფონდის სასარგებლოდ აქ ფული შეგროვდა, ერთს კაცს ჩააბარდა და სად მოიხსენიოსო“. მართალია, ხელის მოწერა იყო, მხოლოდ ზოგს ხელის-მომწერთაგანს ხელდრი ფული არ წარმოუდგენია, ერთმაც კიდევ რამდენიმე მან. უკან გაიტანა დროებით. უმორჩილესად ვსთხოვ ამათ ყველამ თავისი ვალი წარმოადგინონ და ამით ამაცილონ საყვედურს.

ექ. მ—ძე.

# დეპეშა

21 ივნისი

**პეტერბურგი.** განკარგულება მოახდინეს, რომ შეაჩერონ ხოლმე ასტრახანიდგან მდინარე ვოლგით ზემოდ მიმავალი გემი და მანამდე არ გაუშვან, ვიდრე ყოველივე ხოლერის გასაფრთხილებელი ღონისძიება შესრულებულ არ იქნება. იგივე შემოღებულია ენოტაევსკსა და „ჩორნი იარში“.

18 ივნისს ასტრახანში ხოლერით ავად გახდა 8 და მოკვდა 3; ბაქოში 17 ივნისს საავადმყოფოში მიიყვანეს 46, მორჩა 6, მოკვდა 20; დარჩა ავადმყოფი 138. სამკურნალოს გარეშე მოკვდა 25. ტფილისში 17 ივნისს მოკვდა 2, საავადმყოფოში მიიყვანეს ორი. სრული დეზინფექცია მოახდინეს სახლებისა. პეტროვსკის ნავთსადგურში ადგილობრივ მცხოვრებთაგანი არავინ გამხდარა ხოლერით ავად, მაგრამ ბაქოდგან მისულ გემებიდგან 16 კაცი მიიყვანეს სამკურნალოში, მოკვდა 7; რამდენიმე კაცი გახდა ავად შემახასა და შუშაშიაც.

19 ივნისს ასტრახანში ხოლერით ავად გახდა 4, მოკვდა ერთი; ბაქოში საიმისო ცვლილება არა მომხდარა-რა. განჯაში 18 ივნისს ავად გახდა ბაქოდგან მოსული კაცი, მაგრამ ადგილობრივთაგანი არავინ გამხდარა. ტფილისში 19 ივნისს ავად გახდა 5, მოკვდა 2. ახხაბადშიაც იჩინა თავი ხოლერამ.

**შტუტგარტენი.** გუშინ დედოფალი შარლოტა სეირნობდა და უეც-

რად ეტლს უკან ღერძი გაუტყდა; მეეტლე გადმოვარდა კოფოდგან; ცხენებმა გაიწიეს. დედოფალი ფეხზედ წამოდგა, წაავლო სადავეებს ხელი და ცხენები შეაყენა. დედოფალს არა დაჰშავებია-რა, ხოლო მეეტლე მსუბუქად დაშავდა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭო პრინციპიალურად დაეთანხმა მსოფლიო გამოფენის გამართვას.

**ბერლინი** გავლენიანს წრეებში ლაპარაკობენ, გავმართოთ თუ არა 1898 ან 1899 წელს ბერლინში მსოფლიო გამოფენა საფრანგეთის მხრით მეტოქეობის ასაცილებლადაო.

**ლონდონი.** რეიტერის საგენტოს სიმლიდგან დეპეშით აუწყებენ: ინდოეთის მთავრობამ ფორმალურად გააფრთხილა ავღანის ემირი, ავღანის ჯარებსა და ბაჯაურას უმრა-ხანს შორის შეტაკება აღარ მოხდესო. თუ შეტაკება კიდევ მოხდეს, ინდოეთის მთავრობა მოითხოვს, რომ ავღანის ჯარმა დასტოვოს ასმარი, საიდგანაც იგინი ემუქრებიან ბაჯაურს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8,03 | 8,07 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $160\frac{1}{2}$ | $161\frac{1}{2}$ | — ,, |
| ქანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $220\frac{3}{4}$ |
| ახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $194\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | $102\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | $99\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | $102\frac{1}{2}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | $99\frac{1}{2}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $98\frac{3}{4}$ |

### გამოსადეგი ცნობანი

დიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი


კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—64)

შეშა

დიდს საწყობში

რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეულო და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—4

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფიესა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი | | |
| „ II სტერეომეტრია | | |
| „ უმდაბლესი გეოდეზია | | |
| „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლაგარითმოსის ტაბლიცებისი . . . | „ | 50 |

იძლევა ქირით

სარდაფი

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

წარმოება

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.

(15—8)

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სცევანოვი

(35—56—27)


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 22-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.